

სომეხი სასჯამოები აზრდებულს საქართველოს წყურვეს

ღმერთადების პარადოქსები

გამთვნიჭლოდით ქართულზე!

NATO-თი იმ ქვეყნის გადარჩენა უნდათ „ნახვას“, 9 წელი რომ ანბრკვლენ?

შეწყვიტეთ ამომჩიველთა დმი და გამთვირეთ პოლიტიკური გამთქვამულიდან

დამოუკიდებლობის 25 წლის-
თავზე პროვოკაციები, ქვეყნის
არევის, შანტაჟი და ჩხუბი -
ვისთვის, რით ვერ ვისწავლეთ
ჭკუა, ან რამ შეგვაძულა ასე
ერთმანეთ.

ყველა პარტია უნდა გაერთი-
ანდეს ფაშიზმი რომ არ აღორ-
ძინდეს, არადა, ორადაა გაყო-
ფილი საქართველო და ერთ
ნახევარს მეორის დაქვევა უხა-
რია, გენოციდი უფრო თვით
ვაიქართველებმა მოუწყვეს ერს.
ვითომ პატრიოტიზმის მოტივით.

ნაცვებმა საქართველო გასწი-
რეს, რუსებს მიუგდეს და თვი-
თონ გამარჯვების კონცერტს
მართავდნენ აგვისტოს ტყვიით
დაფლეთილ დღეებში რუს-
თაველზე, ფილმებს იღებდნენ

სააკაშვილის გამირობაზე, არა-
და, გორში მიწაზე ფორთხავდა,
რუსეთთან ახალი ომიც მათი
მიზანია, რათა მიიღონ ამე-
რიკის მადლობა, მიიღონები,
ჯილდოები და ისევ მოვიდ-
ნენ ხელისუფლებაში როგორც
პატრიოტები, რას გავს ჩვენი
ფსიქოლოგია? ისევ ნაციონალები
გვენატრება? რომლებმაც
გაყველიფეს ქვეყანა, დაანგრიეს
ფიზიკურად, სულიერად ზნეო-
ბრივად აწამეს, გააუპატიურეს
აღამიანები. ქვეყანა საკუთრე-
ბად გაიხადეს, ყველაფერი იკა-
დრეს, ერთმანეთზეც პორნოგრა-
ფიები შექმნეს, ბიზნესი ჩაკლეს,
ხალხი გააქციეს, ოჯახები
დაანგრიეს, ახალგაზრდები ჩა-
ხოცეს. ნაციონალების ქვეყნის
სულიერების ნგრევაში, რასაც
ერის ფიზიკური გადაშენება
მოყვება, სხვა პარტიებიც არ ჩა-
მორჩებიან. საზღვარგარეთ მყოფი
ქართველები ვერ აანალიზე-
ბენ სიტუაციას და სააკაშვილს
და მის მსგავს ავანტურისტებს
უბამენ მხარს და კარგა ხანს
იქნებიან საზღვარგარეთ აყვა-
რებული საქართველოს მოლო-
დინში. გრანტებში გაცვალეს
სამშობლო არასამთავრობოებმა,
რომლებიც ყველაფერზე არიან
წამსვლელი პირადი კეთილდღე-
ობისათვის, არადა სად დაიკარ-
გა ქართული სული, სამშობლოს
სიყვარული გრძნობა. „ვისი
ქუძუ ვიწოვია“. გახსენდება ამ
დროს და...

სად არის ახალი ძალები, ნუთუ
ბედაურები დაიხოცნენ.
„ოცნებას“ ნუ დაუკარგავთ
იმას, რაც გააკეთა, ოდონდ
ესაა პარტიებს, შეცდომებს
მოყავს „ნაცვები“, თუმცა, „ოც-

ნების“ გვერდით ვინ იყო?
ისევ შეფუთული „ნაცვები“-
„რესპუბლიკელები“, „თავისუ-
ფალი დემოკრატები“, ხათრით
არჩეული პრეზიდენტი. კიდევ
უამრავი, ვისაც ეროვნულ-
ბა დიდად არ ეხატება გულ-
ზე. ივანიშვილთან ასოცირდება
ხელისუფლება, რა ფენომენია
ეს-კაცი არის და არც არის. ვი-
თომ დემოკრატია. ვითომ პრე-
ზიდენტი, ისევ გაორებული
საქართველო, ორასი პარტია,
არადა, ქვეყანა ერთია.

სანამ ჩაერევიან უცხო ტომე-
ბი, მათ შორის შინაური მტრები
ჩვენს ცხოვრებაში, რით ვერ მო-
ვიშორეთ და მიგუხურეთ ჩვენი
ოჯახის კარები. ოჯახის, ჩვენი

ბიბლია . ჩვენთან იყო ღმერ-
თი ყველა ბრძოლაში, რამეთუ
ცხოვრება ყოველთვის იყო ბრ-
ძოლა სიკეთეს და ბოროტებას,
სატანას და ანგელოზებს შო-
რის, ვხედავთ, სატანამ იმპლავრა
ფულით, უზნეობით, ღალატით,
მტრობით, შურით. ჩვენ მო-
ვიმკეთ, ის რაც დავთესეთ, დღეს
რით არის ფეხშიძე საქართვე-
ლო? ისევ სატანას მივეყიდეტ,
უზნეობა ახალ რეალიებს გვთა-
ვაზობს ინცესს, რომ არაფერი
ვთქვათ ერთსქესიანთა ქორწი-
ნებაზე, თუნდაც ამ უბედურე-
ბის გამო ვერ იქნება ფეხშიძე
საქართველო, ისედაც ორმილი-
ონზე ცოტა მეტი ვართ (სხვა
ერების გამოკლებით) ამდე-

ათასობით (ერთ კაცზე) პრემი-
ებს იღებდნენ. სიღარიბე აქციეს
ხალხის მართვის მეთოდად, არა-
და არც ისე ღარიბია საქარ-
თველო, მაგრამ ამათ გაძარცვეს
და კაცი ერთხელ რო მიენევეა
მუქთა ჭამას, არ მოგეშვება და
ამიტომაც მიდიან პროვოკაცი-
ზე სააკაშვილის ბანდის ნარჩე-
ნები, ეს ვითომ პარტიაც ორ-სამ
კაცმა გამოიყენა. „ნაცვები“ და
საკაშვილი იყო „დემოკრატიუ-
ლი“ დიქტატორული რეჟიმი, ეს
ხომ პარადოქსია, მართლა ასე
ბნელა? რუსეთთან მტრობაც თა-
ვისთვის გამოიყენეს ვითომ პა-
ტიოტებმა, ვითომ იბრძოდნენ
და ამ მტრობაით სამშობლოს
სიყვარულში ფულს იღებდნენ
ამერიკისაგან და ეს მტრობა
აწყოთ. დღესაც, ვინც რუსეთ-
თან დიალოგზე, პრობლემის გა-
დაწყვეტაზე წავა, აგენტია, თვი-
თონ რას გვთავაზობენ?

რაც მეტად გაილახები, მით
უფრო შეგიცოდებენ, იციან ეს
„ნაცვებმა“, თანაც გამოცდი-
ლებაც აქვთ. მაგრამ კორცე-
ლის ანგარიშსწირება ხელისუ-
ფლების დუმილის ბრალია, და
ხალხმა თავად დაიწყო სამართ-
ლიანობის აღდგენა და წინაც
ბევრი სიურპრიზები გველის, სა-
დაა ხელისუფლება? რატომ არ
აქვეთეს, თანაც ეს მასვე აზა-
რალებს..

„ოცნება“ ისევ შეცდომებს უშ-
ვებს, მისი პოლიტსაბჭოს წევრი
ითხოვს მერაბიშვილის განთა-
ვისუფლებას. ჩანაფიქრი შეფუ-
თონ მაინც. ცეცხლს ბენზინით
არ აქრობენ, რა ჭირს ქვეყა-
ნას და „ცხოვრება საამურიათი
ვცხოვრობთ“. რა გვემდერება?...
პოლიტიკური ბრძოლა აუცი-
ლებელია, მაგრამ სამშობლოს
კეთილდღეობისთვის და არა
პირადი, ქვეყნის დამაქვევარი
მიზნებისათვის. სულ შეცდო-
მებზე სანამ ვიართო, ვერ გა-
ვერკვიეთ ვის ვავანდოთ ქვეყანა,
მერე თავზე რომ არ დაგვაშლონ.
ამიტომ გიჟი დროზე უნდა ამო-
ვიცნოთ და თავისი ადგილი მი-
ვუჩინოთ, მტერ-მოყვარე გავარ-
ჩიოთ, და ქვეყანა ქვეყნის მტერს
არ ჩავაბაროთ. ვეროპა ტექნი-
კით გვისწრებს, თორემ ცივილი-
ზაცია ჩვენგან იწყება. საქარ-
თველოს საგზლად ვეროპისაკენ
„ვეფხისტყაოსანი“ ეწყოფა, რომ
არაფერი ვთქვათ მის ღვთიურ
მისიაზე.

ავერიკალება პასუხი უნდა ავონ სააკაშვილის ბაჟო,
როელითაც ისევ აპირებენ საქართველოზე შურიძიებას

ციხე-სიმაგრის, სიამაყის, კაცო-
ბის, სახელმწიფოს ბურჯის.



რა მოგვცა დემოკრატია
მტრობის გარდა? ამდენი ვითომ
ზრუნვით, ლაყობით, საფლა-
ვი გაუთხარეს ქვეყანას, თუ ასე
გაგრძელდა მალე საქართველო
ქართველების გარეშე დარჩება,
სამშობლო რა არის-
უპირვე-
ლესად ერია, ხალხია, „როგორც
უფალი ერთია ქვეყანაზედა“
იგი ერთი კაცია თავისი ხასი-
ათით და სახით და არა რიგი-
თი პარტიარი, რიგითი ნომრით,
ქართველობა მარტო მიწა არაა,
ეს განსხვავებული ფენომენია,
ღვთიურობაა, სიწმინდე, სიმაღ-
ლე, ჰუმანურობა, კაცობა, და-
ნობაა. საქართველო კოდირე-
ბული „ვეფხისტყაოსანი“-ჩვენი

ნი ჩინელები ერთ სასტუმროში
არიან (ბევრიც არ
აკლია).

ის რომ ძალი-
ან არ გვიყვარს
ერთმანეთი უინა
საარჩევნოდ უფრო
მუღავნდება. რა
არის ასეთი ხე-
ლისუფლება თუ
ძალაუფლება, რომ
ვერ ველევით, თუ
მოსვლაა, წესიერი
გზით მოვიდნენ
და არა შანტაჟით,
რეკლუციით (ფე-
რადი).

კორცხელი ს
მოვლენებმა აჩვე-
ნა საქართველოში
„ამომრჩეველთა
ომი“ პირდაპირი

გაგებით სერიოზულ სახეს იღებს,
თუ ასე გაგრძელდა, კუნთმა-
გარი ბიჭები პირველ ადგილზე
გაველენ, მაგრამ როგორმე ხომ
უნდა გამოვიდეთ საარჩევნო პო-
ლიტიკური გამოქვაბულიდან. ვი-
მეორებ, ცემა-ტყეპა სირცხვილია
(თუმცა, კარგი ბედაური მარ-
თრახს არ დაირტყამს). მაგრამ
ის, რომ ნაცემოდრობა კიდევ შე-
ტევაზე გამოდის, ესეც ქართუ-
ლი სირცხვილია. ვინ იცის რას
აკეთებენ ისინი პარლამენტში
ხელშეშლის გარდა. რა შექმ-
ნეს, რომელი კანონი. რისთვის
იყენებენ გაჭირვებული ხალხის
ნაჯაფ მილიონებს, თავად სულს
რომ ღაფავს, ესენი კიდევ 100

ზ. აბრალავა.

კოეზია - გზა პარსკვლავებისაკენ
ფაზისის აკადემიის ფოთის ორგანიზაციაში



წლის ბოლო სხდომა „ფაზისის“
აკადემიის ფოთის ორგანიზაციამ
ტრადიციულად პოეზიას მიუძღვნა.
აღსამნიშნავია, რომ წინა სხდომის
მასალები მთლიანად დაიბეჭდა
აკადემიის ყოველწლიურ გამოცე-
მაში ეურნალ „ცოტნეიდელში“.

სხდომა გახსნა აკადემიის ფო-
თის ორგანიზაციის თავმჯდომე-
რემ დოდო ხუხიაძემ. მან „ფაზისის“
აკადემიის წევრებს მიულოცა ფო-
თის საპატიო მოქალაქედ არჩევა
(სულ 5 კაცი) და კვლავაც წარ-
მატებები უსურვა საზოგადოებრივ
და პირად ცხოვრებაში.

ფოთის ცენტრიუს დარ-
ბაში (გიგლა თურქია) მუსიკისა
და ვიდეო პასაჟების ფონზე გაი-
მართა ერთი ლამაზი ლიტერატუ-
რული საღამო.

სცენაზე პირველი ავიდა საქარ-
თველოს მწერალთა კავშირის ფოთის
ორგანიზაციის თავმჯდომარე, აკა-
კი წერეთლის სახელობის პრე-
მიის ლაურეატი, მწერალი, ჟურნალ
„ორნატის“ რედაქტორი ჭაბუკი
ქოიავა, მან დიდებული ლექსები
წაიკითხა აფხაზეთზე, მეგობრო-
ბაზე.

პედაგოგმა, პოეტმა, მრავალი
კონკურსის გამარჯვებულმა, ზოია
მარგველაშვილმა, რამდენიმე
ლექსი უძღვნა შვილის ხსოვნას,
სამშობლოს სიყვარულს, ფაზისქა-
ლაქს.

შემდეგ სცენა დაეთმო ინგული
მოსიავას-აფხაზეთიდან დევნილ
პოეტს, პედაგოგ ეთერ ლატარიას,
ვეტერან ფოთელს, ენვერ იოსავას,
მე-16 საჯარო სკოლის დირექტორს
თამაზ პაჭკორიას. ყველა მათგანს
გამოცემული აქვს პოეტური პრე-

ბული და კარგად იცნობს ფოთის
საზოგადოება.

მე-6 საჯარო სკოლის მოს-
წავლევებმა წარმოადგინეს ნაწყვე-
ტი სპექტაკლიდან, რომლის სცე-
ნარი დაწერილია დიდი გიორგი
ლეონიძის ნაწარმოების მიხედ-
ვით-„ნატვრის ხე“.

მოსწავლეთა ლიტერატულ-დრა-
მატული წრე შექმნილია ქალაქის
საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან.
(ნუნუ ჭელიძე). რომლის ხელმძღ-
ვანელია პედაგოგი მარინა შა-
მათავა, როლებს ასრულებდნენ
მოსწავლევები ეკა ქვარცხავა და
პაატა ჭითანავა, უნდა აღინიშნოს,
რომ ისინი უკვე ფლობენ სამსა-
ხიობო ოსტატობის საკმაოდ ბევრ
ელემენტებს და წინ დიდი წარმა-
ტებები ელით.

ფოთის აკადემიის სხდომები
სექტემბრისთვის განახლდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისი - ფოთში

„სამშობლო, ხომოხს უფანი, ხითია ქვეყანაზედა“

საქართველომ თავისი ერთგუნული გზით, ილიას გზით უნდა იატღს, თუ უნდა გახდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო

1918 წლის 26 მაისს, ახლადშექმნილმა საქართველომ ერთგუნულმა საბჭოთა, ტომილიც 1917 წელს დაატღს, ქართველი ხალხის პოლიტიკური ნების გამტაცების მიზნით ტრესეთის იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

26 მაისი ერთგუნულ ღვსასწაულად გამოცხადდა ველთცავთ სრულიად საქართველოს ამ დიად ღვსასწაულს!



ში: ესენია: ივანე პატარაია, ლამარა მექვიანი, მისიადარ ბახტაძე, ნანი გუგუშვილი, ლუიზა ჩხეტი, ეთერ სალია, მანანა მამალაძე, დოდო ხუხია, ზეინაბ ჩარჩხალია, ანზორ მილორავა, ზურაბ აბრალავა, ვანო ნარმანია, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე,

26 მაისი-დამოუკიდებლობის აღდგენის დღე ჩვენს ქალაქში, როგორც დიდი სახასიახო ზეინი მი ისე აღინიშნა, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნი-



ნუზარ ნაჭყვია, პეტრე ქოჩაკიძე, ჭალადიდელი, დევი გვალია, გოგი გუდავაძე, კორნელი სართანია, ვალერიან ბართია, ანზორ მიქელაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, გიორგი გოგუა, გურამ დოღბაია და ზაურ ანთია.



26 მაისს ფოთში სპატიო მტკლადეები აირჩიეს, ველთცავთ!



სასწავლებლისა და სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები. მოეწყო ქართველ მეფეთა ავტოგრაფების გამოფენა, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული ძეგლების ფოტო გამოფენა-პრეზენტაცია. პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალი ინსცენირებები მოაწვეეს. გაიმართა შეჯიბრი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, ჭიდაობაში, კრივში, ფეხბურთში და ჭადრაკში. ფოთში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო პროგრამა გრანდიოზული კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდა. კონცერტში მონაწილეობდნენ: რობი კუხიანიძის და „LAUD-

ლი დონისძიება პირველად ჩვენი ქალაქის ისტორიაში, ფოთის საპატიო მოქალაქეებისათვის ამ საპატიო წოდების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემის ცრემლით დაიწყო. სიმბოლურია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია პატივი მიაგო იმ 25 ადამიანის დეაწლს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ განვითარება-

speakers“ ბენდი, ანრი ჯოხაძე და თაკო გაჩეჩილაძე. 26 მაისის აღსანიშნავი მასშტაბური დონისძიებები ქალაქ ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ და სტუმრად მყოფმა, ქალაქ ფაზარის მერმა (თურქეთი) აჰმეტ ბასამ, დელეგაციის წევრებთან ერთად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მიერ ნაკურთხი, სამეგრელოს რეგიონისთვის დამახასიათებელი უნიკალური ვახის წამყვანი ჯიშები დარგეს.

ახალგაზრდობა იმედი სვლის



სესია თემაზე: „რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობა და გენდერული თანასწორობა“

ქალიშვილი თინა დოღბაია, სესიაზე მოწვეული იყვნენ ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომიდან“, ტრენერები: ქეთევან ჭელიძე და ირინა ბრეგვაძე. სესიის მონაწილეები იყვნენ: ქ. ფოთის სკოლების მე-9-მე-12 კლასის 31 მოსწავლე. სესია ჩატარდა „გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოსა“ და „გეროპის ახალგაზრდული პარლამენტი-საქართველოს“ ინიციატივით. აღნიშნული დონისძიების მიზანი იყო ხელი შეეწყო სკოლის მოსწავლეებში ცოდნის ამაღლებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობა. გენდერული თანასწორობისა და გენდერულ დაფუძნებული ძალადობის აღმოფხვრა. სესიის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტებმა ისაუბრეს, ისეთ თემებზე, როგორცაა გარდატეხის

ასაკი და მასთან დაკავშირებული რისკები, შიდა და ვენერიული დაავადებები, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები და გენდერული თანასწორობა. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსები, მოეწყო სხვადასხვა სახის თამაშები. სესიის ბოლოს ყველა მოსწავლეს გადაეცა სერტიფიკატი. შემოადგინებულმა თემებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეთა შორის. ჩვენ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ მე-15 საჯარო სკოლის მოსწავლეს ლუკა კახანჯის ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი, და აი, რა გვიამბო მან: „სესიის თემებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არამარტო ჩემზე, არამედ იქ დამსწრე მოს-

2016 წლის 29 მაისს ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ნუნუ ჭელიძე) დარბაზში ჩატარდა სესია თემაზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობა, გენდერული თანასწორობისა და გენდერულ დაფუძნებული ძალადობის აღმოფხვრა. სესიის ორგანიზატორი იყო „გეროპის ახალგაზრდული პარლამენტი-საქართველო“, რომლის ვიცე პრეზიდენტია ჩვენი თანაქალაქელი, ფოთში და რამარტო ფოთში კარგად ცნობილი ალექო დოღბაის

წავლევებზე. ეს ის საკითხებია, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზემო აღნიშნულმა დონისძიებამ ღრმა კვალი დატოვა ახალგაზრდათა მრავალმომცველ ცნობიერებაში. გამოეთქვა გულწრფელ სურვილს მსგავსი ტიპის შეხვედრებმა ყოველწლიური ხასიათი მიიღონ. ასეთია არამარტო ჩემი, არამედ ყველა მოსწავლის სურვილი“. იმედს ვიტოვებთ მსგავსი სესიები ხშირად გაიმართება ჩვენს ქალაქში. O. სპმრი



„ფაზისის“ აკადემიამ ღვთისმშობლის ტაძარს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი შესწირა



მიის მიერ შეწირული ბიჭვინთის ღვთისმშობლის მართლაც გაამორჩეული, დიდებული სატი, სადაც ასევე გამოსახულია წმინდანები ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი (სიმბოლურია-იგი მოვიდა თავის აღზრდილთან-დავით აღმაშენებელთან, რომლის ბრწყინვალე ხატიც ამსვენებს აქაურობას).

მეუფემ დიდი სიყვარულით ისაუბრა, „ფაზისის“ აკადემიის, მისი პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას

ბლის კვართს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სხვა დატვირთვა აქვს, დიდი ღვთიური მადლი და ვალია ყველა პარამეტრით. ბატონმა ნუგზარმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ილია მეორე აღმაშენებელმა თქვა-ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი შეგვიძღვება აფხაზეთში.



უფლის აღდგომა და სულის უკვდავების იდეა იდენტურია, ღმერთმა ადამიანური გადასახედოდან მარადიულობის, აღდგომის მართლაც უხილავ პერიპეტეებში გვატარა და უბრალო ჭეშმარიტებით გვამცნო, რომ არსებობს ღმერთი, ძე ღვთისა და სული წმინდა, არსებობს მარადიული სასუფეველი, რომლის კარებს რწმენის, ღვთიური გზის გარეშე ვერ მიაღვებო. ქრისტიანობა ქართველებისათვის მარტო რელიგია არ არის, მისი სულიერების, სიცოცხლის არსის, ყოფიერების განმსახლრებელია, რომელსაც ეფუძნება კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობა, ქრისტე ეწამა ჩვენთვის და ჩვენ ვეწამეთ ქრისტესათვის, საქართველოს გზა არის ქრისტეს გზა, გზა ჯვარცმისა და აღდგომისა!

ღვაწლზე სამშობლოს ერთიანობის და ძლიერების, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისათვის, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ეკლესიებს ამშვენებს აკადემიის მიერ შეწირული ხატები. მეუფემ ასევე აღნიშნა ბატონ ნუგზარის დახმარება ცოტნე დადიანის და გიორგი ჭყონდიდელის



საქართველოს როგორც არასოდეს, დღეს სჭირდება ქრისტიანული რწმენა და სიყვარული, რამაც უნდა გააერთიანოს ქვეყანა, ტერიტორიებამდე, ადამიანებია დასაბრუნებელი ღვთიური გზით, სიყვარულით, მიტკვებით, რამეთუ „სამშობლო როგორც უფალი, ერთი ქვეყანაზედა“-ეს უნდა ახსოვდეს

სხვებიც მიბაძავენ, არადა, რა დიდებულია ღვთისმშობლის მშენებარე ტაძარი, ცად აზიდული მიწიერისა და ზეციურის გამაერთიანებელი, რამეთუ მიწაზე ეკლესია არის ზეციერების მსახური.

სამეგრელო სტუმართმოყვარეობით განთქმულია, ისე როგორ გაგვიშვებდა. აღდგომის დილა „ფაზისის“ აკადემიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით ესებუას ოჯახში გავიტენეთ, სხვათა შორის, ღვთისმშობლის ხატი ვიდრე ტაძარში დაბრძანდებოდა, მის ოჯახში დავეაბრძანეთ. მართლაც დაუვიწყარია ეს შეხვედრა, მრევლის კორიდორი სანთლებით, გალობა, მუხლმოდრეკილი ვედრება-იქნებ ეშველოს ქვეყანას, იქნებ ეკლესიამ ჩაურახოს კარები უზნეობას, ოჯახების ნგრევას, რომლის გარეშეც ქვეყანა უსაძირკველ ნაგებობას დაემგვანება.

უპირველესი ნიშანი უფლის ძალასთან ჩვენი ერთობისა ღვთიური ცეცხლის გადმოღინებაა, რომელმაც აღდგომის დამეს გამთენიისას ზუგდიდში, სამეგრელოს დედაქალაქში, ღვთისმშობლის ტაძარში მოგვისწრო, თითქოს ისევ დამდაბლდა ღმერთი დედამიწაზე, რათა ზეცად აიყვანოს ადამიანები, რათა შეეცვალოს სამყარო და ისხნას ქვეყნიერება ცოდვებისაგან.

ღვთიური მარცვალი დასაბამიდან დვივის ქართველის გულში, ესაა ღვთიური გზა და მარტო ასიათასი მოწამის თავგანწირვა რად ღირს, მსგავსი არ ახსოვს სამყაროს ისტორიას.

ღვთისმშობლის ტაძარი ზუგდიდის ღირსშესანიშნაობაა-რწმენის ციტადელი, სააღდგომო ლიტურ-

ვმინდანებად შერაცხვის საქმეში, რომ ასე სახელმწიფოებრივად მოახროვნე ადამიანები სწორედ დღეს სჭირდება ქვეყანას, რათა რეალურ შედეგებს მიაღწიოს თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, სულიერ და ეკონომიკურ აღმავლობაში, მეუფე გერასიმემ „ფაზისის“ აკადემიის წევრებს ნუგზარ ნადარაიას, ვაგნერ მხეიძეს, ალექო დოღბაიას, ბეჟან ჯაღალანიას, რამაზ ქორქიას, ჯონი გურგენაძეს, ზურაბ აბრალავას, ელდარ მხეიძეს საჩუქრად გადმოგვცა სანთლები, ღვთისმშობლის ხატები და მადლობა გადაგვიხადა სატუმრობისათვის ამ უმშვენიერეს, ღვთიურ დღესასწაულზე.

სააღდგომო სუფრას თვით მასპინძელი, ბატონი დავით ესებუა უძღვევოდა. დისხანს ისმოდა უფლის სადიდებელი, სურვილი-ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი.

ბევრი რამ ითქვა ეკლესიის როლზე, ის რომ ერეოდეს თუ არა პოლიტიკაში, არადა, რა გამოდის - ქვეყანა ცალკე, პოლიტიკა ცალკე, ეკლესია ცალკე? ეკლესიამ უნდა აღზარდოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერისკაცები, ღვთიური რწმენით, სიკეთით, სიყვარულით გამორჩეულები, ურწმუნო კაცი და სახელმწიფო მმართველობა ხომ აფსურდის მწვერვალია...



ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ თავის საპასუხო სიტყვაში უდიდესი მადლიერებით მოიხსენია მეუფე გერასიმეს დვაწლი. ის გახლავთ რეგიონის სულიერი ლიდერი, მისი გამაერთიანებელი, გამორჩეულად რომ უყვარს აქაურ მრევლს და

სიხუმე, და უცებ ტაში! ალბათ, ასეთი რამ წარმოუდგენელია, ტაში ეკლესიაში? ეს ეს ხომ ნიშანია იმ დიდი სიყვარულისა, რაც ღმერთმა დაგვანათლა ქართველებს. სააღდგომო ეპისტოლე, დარბეზები სახარებიდან, მრავალხმიანი ქართული საგალობელი იღვრებოდა სულში და კოსმოსური სივრცეებისკენ მიგვაქანებდა.

ღვთისმშობლის ტაძარი სიდიდით მეორეა საქართველოში და ბოლომდე არ არის დამთავრებული. ამჟამად მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები. როგორც ტაძრის მშენებლობის კოორდინატორმა ბატონმა იური გუგუნიამ გვითხრა სამწუხაროდ, საზოგადოება ისე არ დაგვიდგა გვერდით, როგორც ფოთში ბატონი გერონტი კუხალიაშვილი და გიადარჯანიას ხელმძღვანელობით. ტაძრის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, თუმცა, ფონდი აქაც არსებობს, ტაძრის მშენებლობის მთავარი ერთერთი დამფინანსებელი გახლავთ ბიზნესმენი კობა ღურჭიაია.



ღია დაუვიწყარი იქნება ჩვენს მეხსიერებაში, ასევე, დაუვიწყარი იქნება ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის წინამძღოლის მეუფე გერასიმეს ქადაგება ქართველი ერის სულიერ მისიაზე, ზნეობრივ სიმაღლეზე, სულის მარადიულობაზე, უფაღთან მისასვლელად ეკლესიის მოვალეობაზე.

პატივს მიაგებს მის წარმატებულ საეკლესიო მოღვაწეობას, ღვთიურ მადლს და ადამიანურ სიკეთეებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ზუგდიდშია დავანებული ღვთისმშობლის კვართი და ვლადკერნობის დღესასწაული სრულიად საქართველოს დღესასწაულია, რომელიც ასევე დიდხანს შემორჩება ჩვენს მეხსიერებას თავისი ხალხმრავლობით და საეკლესიო ცრემლიანობით, რამეთუ ღვთისმშობ-

ღვთისმშობლის ტაძარი სიდიდით მეორეა საქართველოში და ბოლომდე არ არის დამთავრებული. ამჟამად მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები. როგორც ტაძრის მშენებლობის კოორდინატორმა ბატონმა იური გუგუნიამ გვითხრა სამწუხაროდ, საზოგადოება ისე არ დაგვიდგა გვერდით, როგორც ფოთში ბატონი გერონტი კუხალიაშვილი და გიადარჯანიას ხელმძღვანელობით. ტაძრის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, თუმცა, ფონდი აქაც არსებობს, ტაძრის მშენებლობის მთავარი ერთერთი დამფინანსებელი გახლავთ ბიზნესმენი კობა ღურჭიაია.

სუული პატივი მივაგეთ წინაპრებს, ვინც მათ ივიწყებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა, ბიბლია გვასწავლის „სამშობლო იწყება, არა მამინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ, როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება.

ნასარეოიერილი ისტორია

იბერია

შტრი გზიდან მოვდივართ



თანამედროვე მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის შესახებ, სათანადოდ არ არის შესწავლილი, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ვინ იყვნენ იბერები და რომელი ენაზე საუბრობდნენ ისინი. ამ კუთხით წერას თითქმის ყველა მკვლევარი თავს არიდებს, თუარადა, ეს არის მთავარი, არის საწყისი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა იბერიელი რასის სრულყოფილად წარმოჩენის, როგორც საკუთარი, ასევე დანარჩენი მსოფლიო ხალხებისათვის, რაც სამყაროში დიდი ხნის უკან დაგროვილ ყველა ამ კითხვებს უპასუხებდა, რომელიც დღემდე პასუხისმგებელია, აქვე თავის ადგილს მიუჩენდა მსოფლიო ისტორიის ყველა იმ გამაღებელს, რომლებიც დღემდე ისტორიის მამულის და უდიდეს კორონებზე არიან მინიჭებული. საგანგაშოა და ზარის შემოკრას ითხოვს ის ამაზრზენი და სამწუხარო ფაქტები, რომელიც ეხება შენი წინარე ისტორიის შეგნულად გაყვალბებას და უფრო მეტად საგანგაშოა, როდესაც თავად დღემდე არ ამ დუმილთ ხელს უწყობს ისტორიის გაყვალბებას, დიახ! არაფერია დედამიწაზე ისე აშკარა და შეგნებულად გაყვალბებული, როგორც ისტორია, განსაკუთრებით ისტორია იბერიებისა. თავადაც არ მაქვს უფლება უდიდესი პატივით არ მოვისხენიო მცირე, მაგრამ ჭეშმარიტებისაკენ გზამკვლევი ის მეცნიერები, რომლებმაც გააცოცხლეს და წინა პლანზე წამოსწიეს იბერიელი რასის კულტურა, რომელიც დასაბამია (საწყისი) მაღალი ცივილიზაციის. მათი წყალობით გავეცანით ჩვენ ჩვენი ერის წინარე იბერთული მოდემის ისტორიას, რასაც ასე შეგნებულად უმაღავენ დასავლეთის დემოკრატები, თუმცა, მსოფლიო ხალხთა კულტურის, მათი ისტორიის დამცველებად გვევლინებიან. სინამდვილეში ყოველგვარი ეროვნული სულის გამოვლინებასაც კი სასტიკად უსწორდებიან, რისი არაერთი მაგალითი მსოფლიოს ასსოვს. მათ შორის საქართველოს, მათ მიერ მწვანე შუქის ანთებით რუსეთის ბოლშევიკურმა კომუნისტურმა რეჟიმმა, ეროვნული სულის გამოვლინების წინააღმდეგ, სისხლში ჩაახშო ქართველი ერის ღვთით ბოძებული სულიერი მოთხოვნილება - თავისუფლება, დაამხო ეროვნული სულიერება და ფიზიკურად

გაუსწორდა ხალხის მიერ არჩეულ პორეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. ამ საშინელი ფაქტს დასავლეთის დემოკრატებმა სრული დუმილით უპასუხეს, როგორ ტყუილად იყავით გვანან ერთიმეორეს, მარქსისტული და დემოკრატიის შუქურად წოდებული დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებები, ეროვნული სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც თავიანთი ისტორიული ფესვების აღორძინების კვალდაკვალ ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ და ამკვიდრებენ ხალხთა შორის მშვიდობას და თანაწარმოებას. აი, რას წერს ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას: „...საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული“. „...ამასთან დაკავშირებით დიდი კამპანია იყო განხლებული ქართველი მეცნიერების ივ. ჯავახიშვილისა და ნიკო მარის წინააღმდეგ, ასევე მიჩქმალულია დასავლეთის მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის სფეროში როგორც არის ვილჰელმ ჰუმბოლტი და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ ქართული ერისთვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი. საბჭოთა მეცნიერებამ, კერძოდ მაქსიმ ლენინის იმის კლასიკოსებმა შექმნეს თეორია იმის შესახებ, (არსებობს სტალინის თეორია იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ქართული ერი, როგორც ასეთი შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერთად მე-19 საუკუნეში, რომ მანამდე იგი არც ყოფილა და არც არსებობდა. შენიშვნა: „სიხშირი და მოგონილი ყოფილა იბერიული სამყარო. მე-19 საუკუნეში ჩვენში შემოვიდა კაპიტალიზმი და ვითომაც ამან განაპირობა ქართული ერის ერთად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს და რომელიც ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს დღემდე არ მოუცილებია თავიდან და კვლავ ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას“. (საქართველოს სულიერი მისია 2 მაისი 1990 წელი). მე ნამდვილად შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დასავლური და მარქსისტული იდეოლოგია ყველა საკითხში ერთი ერთში ხის, მაგრამ მთავარი რაც მათ აერთიანებთ ის არის, რომ მათთვის ყოველად მიუღებელია ეროვნული იდეოლოგია. დასავლეთი აქ ცოტა ფრთხილად მოქმედებს, ისიც გარკვეულ ზღვრამდე, სანამ მათი ე.წ მშვიდობიანი სვლა ძალას არ დაკარგავს. შემდეგ კი ეს დემოკრატები უფრო სასტიკები ხდებიან ეროვნულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ვიდრე კომუნისტები. აი, ამ ძალებს შემდეგ მოჰყავთ თავიანთი ვასალები და ამკვიდრებენ

ეროვნულ სახელმწიფოებში კოსმოპოლიტურ აზროვნებას, რის შემდეგ ადვილად მიღწევადია, ეროვნული სულის წაშლის შემდეგ საკუთარი ისტორიის დავიწყება, რაც 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში საგრძობლად შეინიშნება. მიმდინარეობს ჩვენი ერის სულის დეგრადაციის სრული პროცესი, რაც მოსახლეობაში აშკარად შეიმჩნევა საკუთარი ფესვების მიმართ, მხოლოდ ზედაპირული დამოკიდებულება. მთავარი მოთხოვნილება ყოფით ცხოვრებას და მის ფიზიკურ გადარჩენისთვის ბრძოლას ეთმობა, სხვა გზა ქართველს არ დაუტოვეს, ობიექტურობისათვის ერის დაცემის მიზანი მართო მომხდური როდია, შეიძლება ითქვას მთავარი მიზეზი ჩვენი დაბალი სულიერებაა, რომელსაც დაცემის მრავალი განსწოვება აქვს. რისი ჩამოთვლაც ძალიან შორს წავიყვანს. ერთი სიტყვით საქართველოში კარგახანია მიმდინარეობს ჭეშმარიტი ისტორიის აშკარა გაყვალბების სრული პროცესი, რაშიც ასევე ლომის წვლილი მიუძღვის იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებსაც ასევე ძალიან არ აწყობს ჩვენი წარსული ისტორიის სიმართლის უწყება. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე იბერთა ეთნიკურების შესახებ, სრული და ობიექტური ცნობა მოვაწოდოთ: „იბერია წარმოდგება ძველმეგრული ენისგან, რაც ქართულად ნიშნავს ბერს, მორწმუნეს, რომელიც ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობს და თავის სულს ღმერთს უძღვნის, ხოლო თავსართი - ნიშნავს -ის ანუ ის ბერი, ხოლო იბერია კი მთელი თავისი განწყობილებით ღმერთს მორწმუნე იბერიელი რასით დასახლებულს ნიშნავს, რაც შეეხება ბოლოსართ -იას-ს იგივე აია, ნიშნავს პირველს, გაბრწყინებულს, მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის ხალხს, რასაც ამტკიცებს ვილჰელმჰუმბოლტის კვლევები ბასაკურ ენის სფეროში, სადაც მისმა კვლევებმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ: პირინეის, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის აუზის, ეგეოსის ზღვის აუზის, ბალკანების, საბერძნეთის ტერიტორია, ინდოეთის, მცირე აზიის, პალესტინის და კავკასიის პირველი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიელი მოსახლეობა, რომელსაც ქონდა ერთი ენა და მრავალი სხვადასხვა განსწოვანი“. და ეს ენა მეგობრებო იყო ძველმეგრულ-ლაზური და რომ ეს ასეა, თავად აღნიშნულ ტერიტორიებზე დღემდე შერჩენილი მეგრული ტოპონიმები მეტყველებენ. (ვიცი ბაი ქართველ სკეპტიკოს-მეცნიერთა განრისხება მეგრულ-ლაზური ტოპონიმების მიმართ და ისიც ვიცი ამ განრისხების მიზეზების შესახებ,

მაგრამ თუ ჩვენ ვიტყვით ქართულში დამკვიდრებული მრავალი სპარსული ტოპონიმების შესახებ, როგორც არის: ტახტი, ნოხი, იმედი, დევი და ა.შ. ხმის ამომღებიც არ არიან (არ ღიზიანდებიან მეგრულ-ლაზები). არის შემდეგ ადვილად ხმის ამომღებიც არ არიან (არ ღიზიანდებიან მეგრულ-ლაზები). დიახ! თუ ახლა მეგრული მართლაც ხომ საღაროა ქართულის, რომელსაც ჩვენს მშობლიურ ენად ვთვლით. მაგრამ დედა ენა ენათა შორის კი არის ლაზური, რომელიც დამარხულია ითანე ზოსიმეს ძეგლის „ქებაი და დიდებაი ლაზური ენისაი“-ს თანახმად უფლის მეორედ მოსვლის დღემდე. ასევე თქვენი ყურადღება მიინდა გაავამახვილო ზვიად გამსახურდიას მოკვლევებზე სადაც, ავტორი ამბობს: „...ძველმეგრული მითები შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო მითოგრაფოსთა სახელმძღვანელოდ არ მოაღწია, მაგრამ მოაღწიეს დედა ენაში იბერთა ეთნოგენეზის შესახებ, მოხსენიებულ ტომთა შორის გამოკვლევისას სამწუხაროა ის, რომ იბერთა ეთნოგენეზის შესახებ არ მიმდინარეობს სათანადო კვლევები და არ ხდება მისი სათანადო პოპულარიზაცია. მიზეზი ამის გახლავთ ის, რომ თავად სახელმწიფოს მხრიდან სრული ინდუფერენტულობა თავისი წარსული კულტურისა და ისტორიის მიმართ, ასევე თანამედროვე ქართველი მეცნიერები, რომელთა მიზანი დასავლეთისთვის მიუღებელი იბერიული სამყაროს რეალური ისტორიის წარმოსილება გახლავთ. მხოლოდ ერთეულები ადგანან ჭეშმარიტების გზას, რომელსაც წინარე ქართველის საწყისთან მივყავართ, რომელიც გახლავთ იბერიული სამყარო, სამყარო მაღალი ღვთიური ცივილიზაციისა, რომელსაც რჩეული კაცთა მოდგმა ღმერთამდე მიჰყავს. გაგრძელება იქნება.

ნიკოლოზ იზმირი 17 მაისი 2016წ.

აღდგომის ღამე ზუგდიდში

„ფაზისის“ აკადემიამ ღვთისმშობლის ტაძარს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი შესწირა

(დასაწყისი მ-4 გვ)

ყველაფერი-დაბადებაც, გარდაცვალებაც ადვილის დედას უკავშირდება, როგორც ორატული მიისწრაფვის სიკვდილის წინ საწყისისისკენ, ოდაბადესაკენ, ჩვენც ვუბრუნდებით ჩვენს ძირს, ფესვებს, წინაპრებს, რომელთაც აქამდე მოიყვანეს ქვეყანა, რომელსაც დღეს მავანი უცხოელებზე უკეთესად უსაფლავო ქვეყანა შეგვრჩება, არც არავინ იქნება დასატირებელი, არადა, კაცი დატირებად უნდა ღირდეს. ქართველობა ეროვნება კიარა, ბედისწერაა, ხმლით შემოსაზღვრული ისტორია, სამამულო ომიც და უსაფლავო ჯარისკაცებიც გავიხსენეთ.

ბატონმა დავით ესებუამ სვედია-ნი ამბავი მოგვიყვა, შინმოუსვლელი ბიძისა, რუსეთის შორეულ მიწაზე

დედის გულსაკიდით ამოიცივნეს და მშობლიურ მხარეში გადმოასვენეს. საქართველოსათვის დაღუპული ვაჟკაცების ხსოვნას ფესვებზე დავუდგეთ-სხვა მისამართი ამ ბრძოლას არ ჰქონია. ფაშიზმი იყო კაცობრიობის მტერი და იგი ქართველმა კაცმა გაასწორა მიწასთან, რაგინდაც დესპოტი უწოდონ და ჰიტლერს აღარონ რუსეთის მტრობით გაბრუნებულმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც, ოდონდ სარგებელი ნახონ და შავს თეთრად მოგახვენებენ. ასეთი მარტივი კატეგორიები მოაზროვნეები დაღუპავენ ქვეყანას.

ბოლო დროს ბევრი ტკივილი გადაიტანა სამეგრელომ, საქართველოს ხერხემალმა, როგორც დიდი ილია უწოდებდა, იგი ინახავს ნაცარმიყრილ ისტორიას კოლხეთისას, რომლის უგულვებლყოფით მავანი ათასწლეულებს უკარგავს ქვეყანას, როგორც ბატონმა ნუგზარმა ბრძანა

„ფაზისის“ აკადემიი ყოველწლიური გამოცემა ჟურნალი „ცენტნიდელი“ არის სამეგრელოს ტკივილის განკურნების რეცეპტი და არა სუპარატიზმის პროპაგანდა. შეგნებული მტერი და უგუნური მოკვლე, ასე რომ ჩაგინიხნებს დედამამ და სწორედ შუღლს და მტრობას ადვილებს. ბატონი ნუგზარ ნადარაია ეროვნულ, სახელმწიფო ინტერ

სებს აყენებს ყველაფერზე მაღლა. მართლაც უინტერესო იქნებოდა ცხოვრება ასეთი ადამიანების გარეშე.

ახე გავატარეთ ღვთიური ღამე ოდიშელებთან, ნადდი მასპინძლები: ალალი, შრომისმოყვარე, ამაყი და გაუტყუებელი. 2016 წლის ადღგომა ჩვენი ამბობის საწყისი გახდა. იყო მოფერება და განშორების სევა მომავალი შეხვედრის იმედით. ჩვენი ხელის ჩამორთმევის საფლავრქელაც დავლიეთ...

სადღევრძელო გენეტიკური ლოცვა-ღვთის პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს რომ გვიწერავს და აღგვაფრთოვანებს და შეგვახსენებს- „ნუთუ არ იცოდით, რომ თქვენი სხეულები ტაძარი თქვენი სულიწმიდის, რომელიც ღვთისაგან გაქვთ და, რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით“...

თუ ღმერთს დავივიწყებ, ისიც მიგატოვებს.

დამშვიდობება, ზარები რეკენ, ტაძარი მტრედით ახის სამეგრელოს შუაგულს. იყო რაღაც ოფიციალურიც, ემოციურიც, ლამაზიც და დაუვიწყარიც.

ღვთიური ჰანგები მიგვაცილებენ, ზარები გუგუნებენ, ყური მიუგდეთ ქართველებო, ისინი თქვენ გიხმობენ...

ზურაბ აბრალავა.

სიყვარულით ნაქარბი სტრიქონები

ლუიზა ჩხეტიას-ზაქარაიას ახალი ლექსთა კრებული „ღმრთის ძახილი“

ლუიზა ჩხეტიას-ზაქარაია



ღმრთის ძახილი

შენ კარგი პოეტი ხარ ქალბატონო ლუიზა. არაა იოლი რუსთაველისა და გალაკტიონის ქვეყანაში გერქვას პოეტი, მაგრამ შენ ეს შესძელი. ქალბატონო ლუიზა, შენ უპირველესად ქალი ხარ, მაშასადამე დედა და შემდეგ პოეტი, აკი თავადაც ამბობ ზოია მარგველაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც შენც გეხება: „ხარ მეუღლე და დედა, სამჯერ პოეტი, რადგან მე შენში იმ ქალს ვხედავ მამულს, რომ სხივად ადგას.“ და წინამდებარე კრებული შენი სულის ნაწილია, გულისფეთქვაა, შვილივით სათუთად გამოსრდილი. ლექსი ხომ ისაა რასაც შენ თავად ეძახი: „ლექსმა უნდა ველები და ბილიკები გაგატაროს, და მოხეტიალ გრიგალივით ძვლებში უნდა გაგატანოს.“ ეს უკვე ლექსი „მეწვერია“ და არაა გასაკვირი, რომ შენი ლექსთა კრებული მიუძღვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმი-

დესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რამეთუ ჯერ კიდევ დარღვეულია საქართველოს ერთიანობა. აფხაზეთი, ოსეთი მიტაცებულია რუსეთის მიერ და მისი გამოსხნა დვთის ნების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ აქეთკენაა მიმართული უწმიდესის ყოველდღიური ლოცვა და შენ გულანთებული სიტყვებით მიმართავ მას: „მარად მამულის სადიდებლად ლოცვებს ადავლენთ, ტაძარში ისევ სანუგეშოდ რეკენ ხარები, ხატებთან ღმერთის სადიდებლად სანთლებს აანთებთ. იღვიძებთ ერი დვთიურ მიხნებს ნახიარებო.“ და გოცმებული რჩები, საიდან ამდენი ენერჯია, კოსმიური ძალა ამ პატარა ქალში, რომელიც მთელ გალაკტიონას ველება და შემდეგ დედამიწაზე ეშვება მესად და გრიგალად. „მე კოლხი ვარ, ფაზისელი, ყველგან ალალ მართლად მითქვამს, აიგების ქვეყნიდან ვარ და რიონის წყალი მისვამს.“ აი, თურმე საიდანაა მასში ეს დვთიური და კოსმიური ენერჯია. ამასთან მასში ძალუმად ჩქეფს სამეგრელოს დიდი მთავრების ემხვარების სისხლი, რომელიც უხვად გადმოედინება მის ლექსებში: „ემხვარების გენეტიკურ კოდით წილად გვერგო აფხაზეთზე დარდი“. ამბობ შენ ერთგან. ქალბატონ ლუიზას კარგად ეხერხება ლექსებით გამოხატოს დედობით გამოწვეული სინაზე და სიყვარული. მას მრავალი ლექსია აქვს მიძღვნილი შვილებისა და შვილიშვილებისადმი: „შენ არ შეცვლილხარ ჩემთვის სრულებით, ისევ ბავშვი ხარ ჩემო გოგონა“. ხოლო ხათუნას და თემურის საოცარ სტრიქონებს უძღვნი: „ლაზის მოდგმა ხართ, ეგრისული ჯიშის, ჯილაგის“-ო. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია შვილიშვილისადმი მიძღვნილი სტრიქონები: „შენ მოხვედი დასაწყისად, დასასრული წავიდა, შენ მოხვედი რომ სიცოცხლე კვლავ დაიწყოს თავიდან“. ცალკე აღნიშვნის ღირსია ციკლი ფოთზე და ფოთელებზე, რომელიც გულთი იკითხება. ფოთი, კაპარტინა, პალიასტომი, რიონი, ეს მისი საყვარელი თემებია. „განა მარტო „კარიბჭე“ ხარ და ევროპის ჭიშკარი, სიყვარულის ტაძარი ხარ ხატზე დასაფიცარი“. ასე მიმართავს იგი ფოთს. ხოლო კაპარტინას გამხრდელს უწოდებს. „მე კაპარტინის ნაპირი მხრდიდო“. მასში იმდენადაა ეს სიყვარულის გრძობა გამაჯდარი, რომ ვერ ელევა და ასე მიმართავს: „რიონის პირას პალიასტომთან და ლაქაშებთან გავითევ ღამესო“. ამ ციკლში ქალბატონმა ლუიზამ ყველა ფოთელს მოუხადა ვალი და უძღვნა სტრიქონები, რომელსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ. ესენია ექიმები: რუსუდან გველესიანი-ნადარაია, ილარიონ ცომაია, ეკატერინე (კატუშა) დოღობერიძე, რომელთაც უძღვნა დიდი სითბოთი გაჯერებული სტრიქონები: „გაზაზე ნაწვიმარ ფოთელებს მივეყვები, ქუჩებში დავეყებ წარსულის იარებს, თქვენ მომაგონდებით საიცრად დაღლილი, ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ.“ ასევე დიდი ითბოთი გამოთბარ სტრიქონებს უძღვნის მონადირეებს: ალიოშა იმნაძეს, შოთა ჯიქიას და ძუკუა ჩხეტიას. სიყრმის მეგობარებს ლეილა კაკულიას,



დაღლილი, ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ. ასევე დიდი ითბოთი გამოთბარ სტრიქონებს უძღვნის მონადირეებს: ალიოშა იმნაძეს, შოთა ჯიქიას და ძუკუა ჩხეტიას. სიყრმის მეგობარებს ლეილა კაკულიას,

ნუნუ ჭელიძეს, განსაკუთრებული სიტყვებით მიმართავს იგი ნუნუზარ ნადარაიას: „აკადემიას თავკაცობას, ფაზისში ეძებ უძველეს ფერებს, შენს გულში ცოტნე ანთია მარად, და ვერაფერი ვერ დაგაბერებს“. ამის შემდეგ მოდის მთელი პლიადა ფოთელებისა გერონტი (ჯუკა) კუხაღელიშვილი, ვახტანგ ხორავა, გია დარჯანია, პედაგოგი პიმენ ნაცვლიშვილი, პოეტი თენგიზ რამიშვილი, ნავსადგურელი თემურ ხოხობია, რედაქტორი ზურაბ აბრალავა, მასწავლებელი როლანდ ხარებავა, ბავშვობის მეგობრები ლილი და რუსიკო სიორიძეები, მწერალი და პოეტი ჭაბუკი ქლიავა, მსახიობი ოთარ გუნცაძე, შალვა ლიპარტელიანი, ერთი სიტყვით სიყვარულით ნაქსოვი სტრიქონებია. ბოლოს გვინდა მისავე ლექსით დავასრულოთ ჩვენი მიმოხილვა: „ბავშობა და სიჭაბუკე ერთად გავასინაუქე ცას ვწვდებოდი, ავიღოდი მთათა დრუბელს“ და ასკენის, „რა ყოფილა ეს სიბერე ვერფრით ვერ შევაჩერეთ“. ქალბატონ ლუიზა სიბერე 80 წლის შემდეგ იწყებოდა უთქვამს ბრძენს, ასე, რომ ჯერ კიდევ ბევრი წლები გიდევს წინ და გისურვებთ ასე ღამაზად კიდევ დიდხანს ემსახურო შენს მშობლიურ მხარეს კალმით და ლექსით. და როგორც თავდა ამბობ: „არ მოხუცდები, ცხოვრება ჩემი, ეს მხოლოდ სივრცის დასაწყისია“...



ვანო ნარმანია. P.S. გაზეთის რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად გულთადად ულოცავს ქალბატონ ლუიზა ჩხეტიას ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქის წოდებას.

„გაგარჯობა აფხაზეთო შენი ლურჯო ხაო, თათრო სანაგორია“

აქცია: „მე გადმოვცურავ ზღვას“...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 23 მაისს, უკვე მესამედ, აღინიშნა აფხაზეთის დღე. ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლზე, საინიციატივო ჯგუფი „ერთად“-ის მიერ ორგანიზებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით აქცია-პერფორმანსი „მე გადმოვცურავ ზღვას“ გაიმართა. აქციის ფარგლებში მოეწყო ერთგვარი ინტერაქციული გამოფენა, რომელშიც ასახული იყო

აფხაზეთიდან წამოსული ადამიანების ემოციები, მოგონებები. იქვე განთავსებულ ეკრანზე მოხდა აფხაზეთის პეიზაჟების, ყველასათვის ნაცნობი ადგილების (ომამდელი და ომის შემდგომი) ამსახველი ვიდეო კადრების ჩვენება. აქციის დასასრულს, ზღვის სანაპიროდან, სიმბოლურად მოხდა ფრანგების გაშვება. აქცია-პერფორმანს ქალაქ ფოთის მერი ირაკლი კაკულია, ადგილობრივი ხელისუფლების აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

აქვე ვთავაზობთ ფოთში გამოსახლებულ დევნილთა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ რევაზ წულაიას შთაბეჭდილებას.



ფოთის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენს ქვეყნისთვის ერთ-ერთი უროტულესი და უმაღრესი პრობლემის, აფხაზეთის საქართველოში დირსეულად დაბრუნების იდეის მიმართ. აქციის ფარგლებში მოეწყო ინტერაქციული გამოფენა, რომელშიც ასახული იყო აფხაზეთიდან წამოსული ადამიანების ემოციები და მოგონებები. მართლაც ძალიან ძნელი იყო ემოციების გარეშე დარჩენილიყო ამ დონის იდეის მიმდინარეობისას. ვფიქრობ



ჩვენი ქალაქი ალბათ შემთხვევით არ იყო შერჩეული ამ ღონისძიებისათვის. ფოთი ხომ ის ქალაქია, რომელმაც 1991 წელს ინსპირირებული „ქართულ-აფხაზური“ კონფლიქტის პირველი დღიდანვე საზღვაო გზით მიიღო გაგრიდან და გუთაუთიდან იძულებით ადგილნაცვალნი ოჯახები. შემდეგშიც ფოთი იყო ის ქალაქი, რომელმაც იტვირთა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიღება-დაბინავების, თანადგომისა და ხელშეწყობის მთელი სიმძიმე. გასაკვირა, რომ ჩვენ, ფოთში განსახლებული დევნილების ის ნაწილი, რომელიც გავხდით მონაწილე ამ მოკრძალებულად ჩატარებულ აქციისა, დიდ მადლიერებას გამოვხატავთ აქციის ინიციატორებისადმი: ქალბატონების ნინო ახალაიას, თამთა თურმანიძეს, ნინო პაჭკორიას და სხვათ მიმართ. მინდა ავღნიშნო, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სათანადო მხარდაჭერით უზრუნველყო აქცია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქალაქ



უპრიანი იქნება ფოთში ტრადიციულ შემოვილოთ აქციის „მე გადმოვცურავ ზღვას“ ჩატარება, რაშიც ქალაქის მკვებების გარდა სხვადასხვა ორგანიზაციები და პიროვნებებიც მიიღებენ ქმედით მონაწილეობას და შიდა ქართლიდან დევნილებიც შემოუერთდებიან ღონისძიებას.

ქალაქი შეიქმნა სოციალური სპეციფიკური რეაბილიტაციის სანჯი

„საზოგადოების განვითარების დონე შეიქმნა შევასდეს იმით, თუ როგორ ექცევა ის თავის სუსტ და დაუცველ წევრებს“ მარბარეტ მიდი (ანთროპოლოგი)



ინსტრუმენტალური აქტივობების - პროდუქტის მოტანა, მედიკამენტების მიღება და სხვ. - სახით.

როგორც ცენტრის დირექტორი ქალბატონი ეკატერინე ტულუში განმარტავს- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მართვის ტერიტორიული ორგანოების მიერ უბნებში ადგილზე მისვლით შესწავლილ იქნა დაუძღვრებელი და ლოგინს მიჯაჭვული ადამიანების რაოდენობა, მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. შემუშავდა და დახსენდა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაავადება. შეირჩა 35 მედიკამენტოზური მედიკამენტი. ვინაიდან პროექტი საწყის ეტაპზე განკუთვნილია სოციალურად დაუცველი, დაუძღვრებელი, ლოგინსმიჯაჭვული, (მათ შორის ხანდაზმული) ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პირველ ეტაპზე მოხდება ამ ბენეფიციარებისათვის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია ადგილზე მისვლით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის 3/8 განკარგულებით ქალაქ ფოთის საკრებულომ მე-3(რიგგარეშე) სხდომაზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს მისცა თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის „ ცენტრის დაფუძნებაზე. დამტკიცდა ცენტრის წესდება დაინიშნა ხელმძღვანელი და ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება.

პროექტის ავტორი და აქტიური მხარდაჭერი გახლავთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი მაია ჩხარტიშვილი.

ამასთან დაკავშირებით ვთხოვეთ ქალბატონ მაია ჩხარტიშვილს გამოეთქვა თავისი აზრი-

„დაუძღვრებელი და ლოგინს მიჯაჭვული ადამიანების რაოდენობა ქალაქში საჭიროებს ცენტრის შექმნას; ადრე თუ გვიან, მეტი თუ ნაკლებად ყველა ჩვენგანის წინაშე დგება ოჯახის წევრის თუ ახლობლის მოვლის საჭიროება.

ამ საჭიროების დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ ძალას, რომელიც ერთობლივად - პროფესიონალები, ბენეფიციარები/პაციენტები, მათი ოჯახის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობა და სახელმწიფო სტრუქტურები, ეკლესია, მოხალისეები, დონორები.

ზრუნვა გულისხმობს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის პრევენციას და მართვას - ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახის წევრებთან ერთად ან მათ გარეშე;

მომსახურება მოიცავს სამედიცინო, სოციალურ და სხვა სერვისებს; მომსახურების საჭიროება განისაზღვრება ადამიანის ცხოვრების ყოველდღიური აქტივობების - საკვების მიღება, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, საწოლიდან წამოდგომა, ასევე ცხოვრების ყოველდღიური

რას მოიცავს სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია?

-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია მოიცავს მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ-საკვებისა და მედიკამენტების მიღება, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, საწოლიდან წამოდგომა, ნაწოლების დამუშავება, წვევის კონტროლი, ასევე ყოველდღიური ინსტრუმენტალური აქტივობები.

ვინ მოემსახურება ბენეფიციარებს?

-კვალიციციური (სერტიფიცირებული) მედიკოსი, ერთი ექიმი და ტექნიკური მუშაკი ყოველდღიურად გაუწევენ დახმარებას ადამიანებს, რომლებსაც სჭირდებათ ამ სახის დახმარება.

სად და როდის ჩატარდა ტრენინგები და ვინ დააფინანსა ექთნების ტრენინგები?

- მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 5 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოციალური კვლევის ცენტრის სააქტო დარბაზში ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგები ჩატარდა „ ადამიანი და ბუნებასთან „ არსებული თერაპიის სახლის ტრენინგ- ექთნების ქალბატონების-მერი ვაშაკიძის, ნინო შეშვილიშვილის, თამარ კანთელაძის უშუალო ჩართულობითა და ხელმძღვანელობით. ტრენინგები დააფინანსა ადგილობრივმა ბიუჯეტმა.

რამდენი მედიკოსი და ტრენინგები და რამდენს ვადაეცა სერთიფიკატი?

-სულ ტრენინგები გაიარა 13-მა ქალბატონმა, აქედან ორი ექიმი გახლდათ და 11 ექთანმა. პირველ ეტაპზე შეირჩა 1 ექიმი და 5 მედიკოსი. უნდა აღინიშნოს

ისიც, რომ მომავალში ვვარაუდობთ, რომ ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება, უფასო მომსახურებასთან ერთად შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს ფასიანი მომსახურების საკითხიც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას. ამ მხრივ კი ქალაქში უკვე კადრების საკითხი მოგვარებული გვექნება. კვალიციციური და ტრენინგაკვალიცი კადრები დასაქმდებიან ჩვენს ცენტრში.

პროექტის მიზანზე უფრო კონკრეტულად გვესაუბრება ქალბატონი მაია ჩხარტიშვილი:

პროექტის მიზანი -შინმოვლის სერვისის განვითარებისა და დანერგვის გზით უნარშეზღუდული/მოწყვდილი მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაა.

კვალიციციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უძლიან. ცენტრის საქმიანობის სტანდარტები შემუშავებულია ძირითადად დასავლეთევროპულ მოდელებზე დაყრდნობით, თუმცა ადაპტირებულია ჩვენი ქვეყნისათვის.

1 - სერვისის ხელმისაწვდომობა, სანდობა და ორგანიზებულიობა

2- პერსონალის კვალიციციაცია, ეფექტურობა და მოვლის უსაფრთხოება

3 - მოვლის დაგეგმვა და დოკუმენტირება

4 - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პატივისცემა და ავტონომია

5 - საჩივრები

6 - მონაწილეობა და არჩევანი

7 - არაფორმალური მომხმარებელი

8 - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ამ პროექტის წარმატებით განხორციელების საგარეულო შედეგი გახლავთ, ის რომ-მიზნობრივი ჯგუფი (დაუძღვრებელი და ლოგინს მიჯაჭვული ადამიანები) ისარგებლებენ სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის სერვისით.

ამ სერვისის მიწოდებით გაუმჯობესდება მათი ჯანმრთელობის

მდგომარეობა(დიდი ალბათობით); ისინი ისარგებლებენ სოციალური და საყოფაცხოვრებო დახმარებით

- საექიმო დახმარება: პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი

- საექიმო დახმარება: სასიცოცხლო მანქანების კონტროლი, სამედიცინო მანიპულაციები, სარეაბილიტაციო ღონისძიებები, გარეგანი თერაპიული ზემოქმედება

- ძირეული მოვლა: დახმარება ყოველდღიურ აქტიობაში (დაბანა, ჩაცმა,საკვების მიღება და სხვ.)

- სოციალური დახმარება: მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, გარემოში დახმარება (მაგ.; გადასახადების გადახდა, პენსიის აღება, იურიდიული დახმარება და სხვ.)

- საყოფაცხოვრებო დახმარება: გარემოს ადაპტაცია, საყიდლები, საკვების მიწოდება, დაჯავშნული(სიცოცხლისათვის სასიფათო) ელ.მოწყობილობების შეკეთება და სხვ.

პროექტის ამოცანა გახლავთ პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული ისეთი მომსახურება, რომლის შედეგად გაიზრდება ბინაზე მყოფი პაციენტის (დაუძღვრებელი და საწოლს მიჯაჭვული) სასურველი ჯანმრთელობის ალბათობა და გაუმჯობესდება ცხოვრების ხარისხი. მომსახურება ყველასთვისაა, ვისაც ესაჭიროება/ვინც წარმოადგენს პროექტის პირდაპირ მიზნობრივ ჯგუფს.

p.s. წერილი მარგარეტ მიდის სიტყვებით დავიწყეთ და ეს მნიშვნელოვანია ვინაიდან სუსტი და დაუცველი ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი და მისი განუყოფელი ნაწილი იმსახურებს იმას, რომ მასზე ყველამ ერთად ვიზრუნოთ და გავხადოთ იგი უფრო აქტიური, უფრო თვითდაჯერებული. ვიზრუნოთ ერთმანეთზე, ვიზრუნოთ ერთმანეთისათვის და ვიზრუნოთ ჩვენი მომავლისათვის.



ნოხმანჯიი სსოვბიჯა, ბჯიიზომის ბანვითაიჯა ნაიომუდებბენაიიჯა ჯანსალი და სეფთა ბაიემოს ბაიეშე ფოთში კოლოს ნინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელება დაიწყო



ფოთში კოლოს წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან ერთად ქალაქის მუნიციპალიტეტიც არის ჩართული, კერძოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური-ნანა მხეიძე.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქალაქში, საქართველოს მთავრობის უშუალო დახმარებითა და თანადგომით, პირველად შარშან, 2015 წელს მოხდა მწერებთან (კოლოსთან) ბრძოლის მასშტაბური სამუშაოების განხორციელება.

ქალაქის ტერიტორიაზე, ღია სივრცეები და წყალსატევები იწამლება ბიოლოგიური საშუალებებით, ხოლო არსებული შენობა-ნაგებობები და დახურული სივრცეები სპეციალური მედიკამენტებით მუშავდება.

დეზინფექციისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრეპარატი „სოფვაკი“ გამოიყენება. პრეპარატის შესხურება წარმოებს „სკაულტ-36“ აგრეგატით. რითაც ვერცხების ლიკვიდაცია ხდება.

ნიკილეზა

ნიკილეზის სალონის სალონისათვის განკუთვნილი აბრა, ზომით 1,80X1,50 (ფერადი) რიონისსანაპირო, მებრალიზვილის ქუჩა მობ: 551 94 00 48 რეპაზი



ნიკილეზა კავიბალური სახლი ქალაქის სანჯი, ბანაშენიანაბული აზოთი, იარუსალიომის ქუჩა №4 საკ. ტელ: (+995) 551 49 95 55

მადლობა იუსტიციის სახლის თანამშრომლებს



კეთილსინდისიერი, დაუზარებელი და გულისხმიერი მომსახურებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო იუსტიციის სახლის თანამშრომლებს ირაკლი მესხს, ხათუნა კაკუელიას, თამთა დურმიშიძეს, ლიკა აფხაზავას და თამარ უგრეხელიძეს, რომლებთანაც მაკავშირებს სამსახურეობრივი ურთიერთობა და ვხედავ თუ რო-

გორი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეული მათგანი მათზე დაკისრებულ მოვალეობას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ.

მანანა ცაავა
ქ. ფოთი

ალგერა თურქიას სსრკს „კარგსა რადა კდავ სიკვდილო, განა შენც არა კვდება“...



წავლებელში. ცხოვრება არასდროს არ ყოფილა დაღვინილი, იყო შრომა, წვალეობა, ოჯახის გატანა, თუმცა, ის ახარებდა რომ შვილები ხათუნა და ნუგზარი სამშობლოს და მოყვასის სიყვარულით აღზარდა. კარგ მოქალაქეებად ჩამოაყალიბა მეუღლესთან მერი ჯოჯუასთან ერთად. ასევე ახარებდა კარგი რძალი ნანა გვასალია, მოსიყვარულე შვილიშვილები, გიორგი და დათო.

ამ ქვეყნის ცხოვრების წესით იცხოვრა. უპირველესად მართლმადიდებლურ რწმენას უერთგულა. უყვარდა ადამიანები, ყველას პატივს მიაგებდა, როგორც შეეძლო. სიმდიდრეს არასდროს დახარბებია, მისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანებთან ურთიერთობა, მეგობრობა და სიყვარული იყო, რამეთუ მუდამ ახსოვდა ხალხური სიუბრძნე „მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვყრის იარაღს ჩვენ რას წავიდებთ იმ ქვეყნად, სხვას არაწაუღია რა.“ ერთად სოფელს თავისი მიაგო, ჩუმად იცხოვრა და ჩუმად წავიდა. არავის ვალი არ მიყვება. სიყვარული და ნათელი ხსოვნა დატოვა ყველგან. დემეტრე ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

უახლოესი მეზობლები.



დედა სვეტა; ძმა ნიკა ჩაჩიბაია; მეუღლე თამუნა სტამოსი; შვილები მარიამი და ლიზი ჩაჩიბაიები; ბიცოლა თინა გასვიანი; ბიძაშვილები გიგა და ნინო ჩაჩიბაიები; ბიძია ლევან თოხაძე; მამიდები დალი და ლალი თოხაძეები; სიმამრი ნუგზარი, სიდდერი რუსიკო, ცოლისდა ნათია, ცოლისძმა შაკა სტამოსები; ქვისლი ჯანო კვარაცხელია და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გია გივის ძე ჩაჩიბაია


დაკრძალვა 21 მაისს 16:00 სთ-ზე, კუნძულის უბნის სასაფლაოზე.

გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქციის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ ქალბატონ თამარ სტამოსს მეუღლის

ბია ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო.

ფოთელი მინდია-პარმენ ნინუა



ვეტერინარ პარმენ ნინუას, ექიმების შვილს და ცხოველების მეურნაღს. როდესაც ქალაქ ფოთის ბაზართან მდებარე თავის სამუშაო ოთახში სრულიად უსასყიდლოდ მეურნალობდა ოთხფეხა პაციენტებს, უტარებდა ოპერაციებს, სხვადასხვა პროცედურებს, გადასხმებს... ეფერებოდა და უხაროდა პატრონის თვალეში პაციენტის გადარჩენით გამოწვეულ რომ დაინახავდა.

ის საოცარი კაცი იყო წმინდანის თვალეებით, როგორც იტყვიან - ცარიელი გული.

სულ მცირე ხნის გაცნობილ ადამიანზეც კი გამოგონებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა. იფიქრებდი, ეს კაცი ამქვეყნად საგანგებოდ არის მოვლენილი, რადგან ბევრი რამით განსხვავდებოდა ჩვენგან, ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან. დავიწყობთ იქიდან, რომ იყო არაჩვეულებრივი ოჯახის შვილი, მამამისი ბატონი ბორის ნინუა გახლდათ ფოთში ცნობილი ქირურგი, ხოლო დედა საუკეთესო ნევროლოგი. შვილს საუკეთესო განათლებას მისცემდნენ, რა გასაკვირია და ვინც ბატონ პარმენს იცნობდა, ყველა გეტყვით, რომ ის საოცრად ნაკითხი და განათლებული პიროვნება იყო.

ვინც იცის განსხვავება განათლებასა და განსწავლულობას შორის, ის გამოიგებს, რომ ეს საოცარი კაცი ღვთისგან იყო დაჯილდოვებული ადამიანების და ყველა სულიერის სიყვარულით. მხოლოდ 50 წელი იცოცხლა და უანგაროდ დახარჯა თავისი ნიჭი, ცოდნა, ენერჯია ადამიანებისათვის.

ვისაც ამქვეყნიური ცხოვრების მიზნად მხოლოდ სიმდიდრე, ფუფუნება და კაი ჭამა-სმა მიაჩნია, ის ვერასოდეს გაიგებს რა ამოძრავებდა

სისხარულს ხაზგასმული თავაზიანობით, ყურადღებით და კომპეტენტურობით გამორჩეული ეს კაცი დიდი შეება იყო ყველასათვის, ვისაც კი დახმარებისთვის მიუმართავს. შეგეძლოთ დაგვეყვით მისთვის ნებისმიერ დროს, ისე ვაგვიცმდათ ზუსტ და ამომწურავ პასუხს და შევითანხმდებოდით შემდეგ დარეკვაზე. გულწრფელი სამიმიარი გვინდა ვუთხრათ ბატონი პარმენის ოჯახს, შესანიშნავ მეუღლეს, მარინა ქავიანიძეს და ქალ-ვაჟს, რომელთაც განსაკუთრებული მამა დაკარგეს, მაგრამ შეუძლიათ იამაყონ, რომ შესანიშნავი, გამოჩენილი, განსაკუთრებული ადამიანის შვილები არიან.

განა მარტო ოჯახმა? ფოთმა თავისი კოლორიტი დაკარგა, საოცარი კაცი, რომელსაც უყვარდა ცხოველები და ის ადამიანები, ვისაც ცხოველები უყვართ.

ქმთმყვან, ჯამირან ნაპაშიძეებში რედაქციისათვის:

რამდენად საამაყო რომ ფოთელ კაცს ახე აფასებენ მეზობლები. ამ წერილში ფოთელთა გულისთქმაცაა და ამიტომაც ვაძმოვებუქდეთ იგი ღანხხუთის გაზეთ „ღანხხუთიდან“.

გორა სხვიბარია სსრკს

„თუ არს სიგოცხლე, რა არს სიკვდილი?
თუ არს სიძაძრე, რა არს შიმშილი,
იყავი ერთი!“



უამს, მისგან მხოლოდ სთბო და სიყვარული მოდიოდა, იყო უკონფლიქტო, გამგები და თავაზიანი. ეს-ეს არის მოასწრო შვილთან შეხვედრა- იგი პატარა, მაგრამ მამის სიბოლს და სიყვარულის გაგება შეუძლია - გენი თავისას იძახის, სულ სხვაა სულისა და სისხლის ყივილი. თუმცა, ის დედასთან ერთად შორსაა სამშობლოდან და არც იცის მამის სიკვდილის შესახებ, რომელსაც დარდად მიყვება ორმაგი დაცვილება.

ყველაზე მწარე მშობლისთვის შვილთან დაცილებაა, დედა მზისა ახლა მოგონებებით ცოცხლობს, რა ბედნიერი წლები იყო დიდობიდან ბავშობამდე, თუმცა, ეს ორი წელი საბედისწერო აღმოჩნდა და ცხოვრების შუადღეც არ არის, წუთისოფლის დაუნდობლობასთან ვერაფერს გახდნენ ძმები რომანი და ხვინა, ძმა რომ ნაადრევად მოსწყვიტა და ხსოვნის მორევისაკენ გააქანა.

სხვა რა დაგვრჩენია ჩვენო გონა, მოგონებები, ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

ქეთო მაგიდას ოჯახი